# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 23 დეკემბერი № 1679

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და ქ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

**სურათებიანი დამატება დღეის მაგიერ ხელის-მომწერთ დაერიგება შობა დღეს სამშაბათს, 25 დეკემბერს.**

კვირას, 23 დეკემბერს 1901 წლს

## ქართული თეატრი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
« დაკლებულის ფასებით »

I
**თამარ ბატონიშვილი**
ისტორიული დრამა 5 მოქ. კ. მესხისა.

II ახალი პიესა
**ქლიავი**
ვოდევილი 1 მოქ. რუსულიდან ნ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, შდივანი; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

**დასაწყისი სწორედ 8 საათზე.** **ფასები დაკლებულია.**

მზადდება გ. გედევანოვის საბენეფისოდ ახალი პიესა „მუზმუზელა“ მოლიერისა.

რეჟისორი ვ. გუნია.

მკურნალი
**მიხეილ გედევანიშვილი**
იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი 791.

ექიმი
იაკობ ზაქარიას ძე
**გძელიშვილი**
იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7-მდე, შინაგანის და ათაშანგის ავადმყოფობით. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85 (0—8)

ექიმი
**კ. მ. ელიოზიშვილი**
ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 12—1 და საღამოთ 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

შემთხვევით **იყიდება** ტფილისში **ო. ი. მაიერის** ხელსაქმის ცნობილი **მაღაზია** მთელის თავისის მოწყობილობით, საქონლითა და კონებით და მასთან ხავერდის სახელოსნოთი. ფირმა არსებობს 1867 წლიდან. (3—214—2)

კვირას, 6 იანვარს, 1902 წ.
ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში
გამართული იქნება
**მეჯლისი**
(ბალი)

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ. ბილეთის ფასი 2 მან. 10 კაპ.

ქალთათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი და დანარჩენთათვის—ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

**დასაწყისი საღამოს 10 საათზე.**

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ მეკარესთან. (10—1)

## დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

**21 დეკემბერი**

**პეტერბურგი.** „კანონთა კრებულში“ გამოცხადებულია, რომ სამხედრო დაწესებულებაში სურსათის შემოსვლის, შენახვის და გასავლის მთელი ანგარიში სწარმოებდეს მხოლოდ წონის მიხედვით და არა ზომისა.

21 დეკემბერს, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოხდა ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეთერთმეტე კრების წევრთა სხდომა, კოვალევსკის მოკონების სახსოვრად. კრება დაიყო სექციებად. მრავალი მოხსენებაა. მონაწილეთა რიცხვი ოთხი ათასამდე ავიდა.

**ლონდონი.** ვალპარაისოდან იცნობებიან პატივსადები წყაროებიდან, რომ ოქმი, რომელიც პირადად ელჩმა პორტელამ მოიტანა ბუენოს აირესში, არგენტინის რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო. ჩილის სათადარიგო ჯარების მოწოდება გადაიდვა.

**პარიზი.** გენერალმა ანდრემ მიმართა რუსეთის სამხედრო მინისტრს ტელეგრამით, რომელშიაც თავის მხრივ რუსეთის ჯარებს ახალ-წელს ულოცავს და საფრანგეთის ჯარებისაგან ულოცავს რუსეთის იმპერატორს. რუსეთის სამხედრო მინისტრმა აუწყა გენერალ ანდრეს, რომ რუსეთის იმპერატორი და დედოფალი გულითად მადლობენ ანდრეს. თავისს მხრივ რუსეთის მხედრობაც უცხადებს გულწრფელ მილოცვას საფრანგეთის მხედრობას, რომელთანაც იგი დაკავშირებულია ჭეშმარიტის მეგობრობის და სიმპატიის კავშირით.

**გელბრონი.** სიმაგრეების ჩრდილოეთ მხარედან, ფრანკფურტსა და ტაფელკოპის შუა, 15 დეკემბერს მოისმოდა საშინელი ზარბაზნის სროლა. როგორც ამბობენ, დიდძალი ბურები შეკრებილან ლიუკოპში. უნახავთ, რომ ბურები ხმარობდნენ ლიუკოპში ჰელიოგრაფს. ამბობენ, რომ დევეტი ლიუკოპში იმყოფება.

**პეკინი.** თუმცა დედოფალმა, შესახებ ბელგიის მისიონერის მეის მოკვლისა ნინგფუს პრეფექტურაში, მესამე ბრძანება გამოსცა, რომლითაც ნიშნავდა მოხელეებს დამნაშავეთა დასასჯელად და ამასთანავე თანაგრძნობას აცხადებდა ქრისტიანების შესახებ, მით უმეტეს ამ ფაქტს ისე უყურებენ, როგორც იმპერატრიცას სურვილის დამტკიცებას, რომ პეკინში დაბრუნების წინად თავისს სასარგებლოდ მოაწყოს სახელმწიფოები. იმპერატრიცა წინანდებურად ძალიან ეჭვის თვალით უყურებს ამ დაბრუნებას პეკინში. ნიშნებით ეტყობა, რომ არიან იმისთანა დიდ გავლენიანი პირები, რომლებიც მტრულად უყურებენ უცხოელებს და უცხოელების შიშს იწვევენ.

**ყაზანი.** საგუბერნიო საერობო კრება დაიხურა.

**ვარშავა.** აქაური კომერციული სასწავლებლების სამზრუნველო საბჭოთ გააუქმეს სასწავლებლის გარედ შეგირდების ყურის გდება.

სკარჟინსკიმ ნებართვა მიიღო, რომ ორი წლის განმავლობაში მოახდინოს გამოკვლევა არხის გათხრის გამო ვისლასა და ვარტას შუა ქალაქ ვლოცლავსკთან და კონინთან.

**ტამბოვი.** ხელ-ახლა სითბოა, წვიმა და ბურუსი. დარი ცუდად მოქმედებს ჯანმრთელობაზედ და ხელს უწყობს ავადმყოფობის გავრცელებას.

**კიევი.** მოსკოვსკო-კიევო-ვორონეჟის რკინის გზის საზოგადოებამ აღძრა შუამდგომლობა, რომ მიეცეს მას ჩერკასსი-ოდესის რკინის გზის აშენების საქმე—მანძილით 350 ვერსტამდე.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ინგლისი.** საბოლოოდ გადასწყვიტეს, რომ მეფე ედუარდ VII 3 (16) იანვარს თითონ გახსნის პარლამენტს. ამ ამბისათვის მზადებას ახლავე შეუდგნენ.

✿ გაზეთები დღემდე ბევრსა სწერენ როზბერიზე და ყოველ მის ფეხის გადადგმას ყურს უგდებენ. ჟურნალი «ფორტნაიტლი რევიუ»-ში ამტკიცებს: მას აქეთ, რაც ლორდ როზბერიმ ჩესტერფილდში ილაპარაკა, ეჭვი აღარაა, რომ ადრე თუ გვიან როზბერი ჩემბერლენს დაუპირისპირდება. ჟურნალი ამბობს: «პირველ-მინისტრად ნამყოფის ნალაპარაკევიდან ცხადად გამოჩნდა,

## ფელეტონი

### სალიტერატურო მიმოხილვა

(„ჩემი თავგადასავალი“. ფეერია შ. არაგვისპირელისა).

მესამოცე წლებიდან მოკიდებული დღემდე ქართულის სიტყვა-კაზმულის მწერლობის დამახასიათებელ მიმართულებად რეალიზმი იყო. რეალიზმის შესახებ ჩვენ ჟურნალ-გაზეთში ბევრი ღირს-საყურადღებო და საგულისხმო აზრია გამოთქმული, მაგრამ რეალისტურ მიმართულების მთავარი პრობლემა დღემდე ბნელით მოცული და გამოურკვეველია. რა კავშირი და რა დამოკიდებულება უნდა ჰსუფევდეს ხელოვნების ნაწარმოების და სინამდვილის შორის?—აი ის საგანი, რომლის გამორკვევაც აუცილებლად საჭიროა ხელოვნების თეორიისთვის საერთოდ და განსაკუთრებით კი ხელოვნებაში რეალისტურ მოძღვრებისთვის. განსაკუთრებითო იმიტომ ვამბობთ, რომ რეალიზმი სინამდვილისა და ხელოვნების დაახლოვებას, თითქმის გაერთებას თხოულობს, და ამასთანავე ყველასათვის ეჭვს გარეშეა, რომ ხელოვნების ნაწარმოები სხვა არის და ფოტოგრაფიულად ქაღალდზე ან ტილოზე სინამდვილის გადაბეჭდვა კიდევ სხვაა. ამ საგანს მომავალში ჩვენ კიდევ მრავალჯერ დაუბრუნდებით და მაშინ ვეცდებით სრულის საფუძვლიანობით განვმარტოთ ის, ეხლა კი მხოლოდ მოკლედ გადავცემთ ჩვენს მკითხველებს ამ საგნის შესახებ რამდენიმე მოსაზრებას.

ყოველივე მსჯელობა ხელოვნების ამა თუ იმ დარგის შესახებ მშვენიერების გრძნობიდან უნდა მომდინარეობდეს. მშვენიერების გრძნობა ხელოვნებისათვის იგივეა, რაც მოვლენათა შორის კავშირის დამამყარებელი «მიზეზობრივობის» კატეგორია მეცნიერებისათვის. როგორც მეცნიერებას მოეჭრება მუხლი და ერთიანად დაიშლება იმისი ფართო, მრავალ-სართულიანი შენობა, იმის სამთავროდან რომ მიზეზის ცნება გამოვდევნოთ, აგრეთვე უეცრივ მოისპობა ხელოვნების მაღალი და ნაზი ტაძარი, თუ ამ ტაძარს თავს დაანებებს მშვენიერების გრძნობა. როგორც მიზეზის ცნება სათავეა აზროვნებისათვის, აგრევე ხელოვნებისათვის მშვენიერების გრძნობაა დასაწყისი.

რეალიზმის მოძღვრება, რომელიც ყოვლის უწინარეს სინამდვილესთან დაახლოვებას თხოულობს, თავის შეხედულებას ან იმ მოსაზრებაზე ამყარებს, რომ თვით სინამდვილეს მშვენიერებად ჰხედავს, ან იმაზე, რომ სინამდვილის გაცხოველებას ხელოვნების საშუალებით ცხოვრებისთვის სასარგებლოდ აღიარებს. პირველს შემთხვევაში რეალიზმის მოძღვრებას სარჩულად სრულიად ყალბი, ფიქტიური მოსაზრება უდება, რადგანაც სინამდვილე არც მშვენიერებაა, არც უმშვენიერობა, ის მარტო ოდენ სინამდვილეა, და მხოლოდ ადამიანის გრძნობას შეუძლიან გარდაჰქმნას ის და ან მშვენიერების ანკარა წყალში ამოავლოს ან უშნოობის ელფერში შეღებოს. მეორე შემთხვევაში რეალიზმის მოძღვრება სრულიად არ უარჰყოფს მშვენიერების გრძნობის მნიშვნელობას ხელოვნებისთვის, პირ-იქით, ის პირდაპირ აღიარებს, რომ ხელოვნების საიდუმლო ძალას მართლა შეუძლიან სინამდვილის მშვენიერებად გარდაქმნა. ამ შემთხვევაში რეალიზმის მოძღვრება სრულიად არ ეწინააღმდეგება ჩვენს შეხედულებას, რადგანაც ის აღნიშნავს მხოლოდ ხელოვნების საგანს, შინაარსს და სრულიად არ ეხება იმას, თუ რის წყალობით ხდება ხელოვნებისათვის გაშინაარსებული სინამდვილე მშვენიერებად. ამ სახის რეალიზმი იმდენად ხელოვნების მოძღვრებას არ წარმოადგენს, რამდენადაც პუბლიცისტურს. საზოგადოებრივს ცხოვრებაში ინტერესი, სარგებლობა, utilitas ხშირად ისე ღრმად და მძლავრად ჰბოჭავს ადამიანის გრძნობა-გონებას, რომ ის მზადაა ყველაფერი უარჰყოს, რასაც პირდაპირი სარგებლობა არ მოაქვს, და კულტურის ყოველივე სფერას უტილიტარიზმის სათვალეებით შეიარაღებულმა უცქიროს. როგორც მკითხველს ეცოდინება, სწორედ ასეთი დრო დადგა რუსეთის ცხოვრებაში მე 60-ე წლებში, როდესაც პისარევმა უარჰყო პუშკინი და პისემსკი ტურგენიევზე მაღლა დააყენა, და რუსეთის ინტელიგენციის ფეხის-ხმაზე მოსიარულე ქართველთა მეთაურებიც დღემდე თითქმის ხელოვნების მნიშვნელობის გამორკვევის საქმეში ამ წერტილს ვერ გასცილებიან. ჩვენ არ უარვყოფთ იმ აზრს, რომ ხელოვნება ცხოვრებისათვის არსებობს და ამიტომ იმანაც თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ადამიანთა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის ბრძოლის საქმეში, მაგრამ, ჩვენის აზრით, ამ პუბლიცისტურს შეხედულებას თვით ხელოვნების განვითარებისა და იმის საიდუმლო ძაფების გამორკვევისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ წინააღმდეგი ვართ ამ გვარის პრინციპის გამეფებისა სალიტერატურო კრიტიკაში.

დამყარება ესტესტიურის სიამოვნებისა ხელოვნების სიუჟეტის, საგნის სიახლოვეზე სინამდვილესთან შეუსაბამოა სხვათა შორის იმ მოსაზრებით, რომ ამ შემთხვევაში ხელოვნება სინამდვილის უაზრო, უმნიშვნელო დამატებად უნდა იქმნას აღიარებული, რადგანაც თვით სინამდვილე უფრო ცხოველს, უფრო ძლიერს და მაღალს ესტეტიურს სიამოვნებას უნდა იძლეოდეს, ვიდრე ხელოვნება. ხელოვნების საიდუმლოება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის სულ სხვა შთაბეჭდილებას აძლევს ადამიანს, ვიდრე სინამდვილე. სინამდვილე ადამიანის ბუნებაზე ისე ჰმოქმედობს, რომ იმის გულში სხვა-და-სხვა გვარის მოქმედების სურვილს ჰბადავს, ხელოვნებას კი ადამიანი სინამდვილიდამ ფანტაზიის მიერ შექმნილს სურათებისაგან შემდგარს სამფლობელოში გადაჰყავს, რომელსაც სწორედ მოქმედების სურვილის გაღვიძება არ შეუძლიან და მხოლოდ ისეთს წყნარს, მშვიდს, მყუდრო გრძნობებს ჰბადავს, რომელნიც მარტო ოდენ გრძნობები არიან და ამიტომ მოქმედებად გადაქცევას არ ესწრაფიან. ასეთს გრძნობას ჩვენ შეგვიძლიან წმინდა გრძნობა უწოდოთ და აი, ეს სიწმინდე შეადგენს ესტესტიურის გრძნობის დამახასიათებელს თვისებას, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებში ჩაქსოვილს ფანტასტიურს ელემენტებთან არის პირდაპირ დაკავშირებული. ჩვენი სიტყვებიდან მკითხველს შეუძლიან ის დასკვნა გამოიტანოს, რომ მით უფრო ძლიერი იქნება ესტესტიური სიამოვნება, რამდენადაც ხელოვნების ნაწარმოებში მეტი ფანტასტიური მომენტებია ჩართული, მაგრამ ეს დასკვნა მარ-

რომ ორივე ეს მოღვაწე ერთსა და იმავე სამეფს ემსახურებიან და მათი პოლიტიკური პროგრამებიც, როგორც ვაშლი გაჭრა, ისე ჰგვანან ერთმანეთს. თუ ჩემბერლენს პირველი მინისტრობა არ არგუნა ბედმა, როზბერი დაიჭერს ამ თანამდებობას. ჩვენ ქვეყანას ჰსჯერს, რომ პირველ მინისტრად ნამყოფი პოლიტიკურ მოქმედებას დაუბრუნდება, მაგრამ ჩვენი ხალხი არც ისეა მონდომებული, რომ ჩემბერლენი სამსახურიდან გადადგეს». ჟურნალი დასძენს: თუ როზბერისა და ჩემბერლენს შუა არის რამე უთანხმოება, მეფე ედუარდ VII საქმეში გაერევა და ამ მოღვაწეთა შუა ყოველი უთანხმოება მოისპობა.

ლიბერალური გაზეთები არ ეთანხმებიან «ფორტნაიტლი რევიუ»-ს. «ვესტმინსტერ გაზეთი»-ს აზრით, როზბერი არას დროს არ დაუკავშირდება ჩემბერლენს. «დეილი ნიუს»-ი ამტკიცებს: «როზბერი-ჩემბერლენის სამინისტრო პარლამენტში ვერც ნამდვილ კონსერვატორებს, ირლანდიელებს, დამოუკიდებელ რადიკალებს და მუშების დასს გადიკიდებს და მთელ ინგლისში მრისხანე ოპოზიციას გამოიწვევსო.

უნიონისტების გაზეთებში როზბერის ყველაზე გულ-მოდგინედ «ტაიმს»-ი ემხრობა. გაზეთი აცხადებს: უნიონისტების მომეტებულ ნაწილს გაუხარდებათ, თუ როზბერი დიდ ოპოზიციას შეადგენს იმავე პატრიოტულ საფუძველზე, რა საფუძველზედაც ეხლანდელი მთავრობაა დამყარებული. თუ საჭირო იქნება, ლორდ სოლსბერის სამკვიდროს ეს ოპოზიცია ჩაიბარებს.

როგორ წავა ინგლისის მთავრობის საქმე, ეს ჯერ არავინ იცის, ეს კია, რომ რამდენიც პარლამენტის გახსნის დრო ახლოვდება, პოლიტიკური წრეებიც იმდენი უფრო ბეჯითად ლაპარაკობენ, სამინისტრო თუ სულ არ გამოიცვლება, ზოგიერთი მინისტრი მაინც უსათუოდ გადადგება და მათ მაგიერ ახლები დაინიშნებიანო. ამას წინად გაზეთები სწერდნენ: მეფე ედუარდ VII ვითომ ეთქვას: ლიბერალ-იმპერიალისტებისა და ლიბერალ უნიონისტების სამინისტრო უნდა მოვიწვიო. პირველ მინისტრად ლორდ სოლსბერის მაგიერ ეხლანდელი მთავრობის წევრი დევონშირის ჰერცოგი (ესეც ჩემბერლენივით ლიბერალ-უნიონისტია) დაინიშნება, გარეშე საქმეთა მინისტრად ლანსდოუნის მაგიერ, ლორდ როზბერი განწესდება და ჩემბერლენი კოლონიების მინისტრობას თავს დაანებებს და ბალფურის მაგიერ პალატაში მთავრობის მომხრე დასის წინამძღოლად დაინიშნებაო.

ამავე საგანზე ფრანგ. გაზ. «სიეკლ»-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება:

«კიდევ ხმა გავრცელდა, რომ მალე შეერთებული, ან როგორც აქ ამბობენ, საქმიანი (ეს ლორდ როზბერის სიტყვაა) სამინისტრო შესდგებაო. ბევრი იმ აზრისაა, რომ ლიბერალ-უნიონისტები და ლიბერალ-იმპერიალისტები შეერთდებიან და ახალ სამინისტროს შეადგენენო; ამბობენ, მეფე გვირგვინს იკურთხებს თუ არა, ლორდ სოლსბერი მაშინვე სამსახურიდან გადადგება და ეს ახალი სამინისტროც მაშინ შესდგებაო.

მეფის გვირგვინის კურთხევა მომავალ ზაფხულში მოხდება და თუ «სიეკლ»-ის კორესპონდენტი არა სცდება, მაშ ზაფხულამდე კიდევ, ეხლანდელი სამინისტრო დარჩება. ამ სამინისტროს გადადგომაზე იმდენი ტყუილი ცნობები დაიბეჭდა ამ ერთი წლის განმავლობაში, რომ კაცს სწორედ ყელარა გაუგია რა და არც ერთი გაზეთის ცნობა აღარა სჯერა. მალე პარლამენტი შეიკრიბება და მაშინ ჩვენ თითონ ჩვენის თვალით დავინახავთ, მართლა შეირყა მთავრობა, თუ ისევ ისე ძლიერია და ისევ ისე მაგარ ბურჯივითა სდგას, როგორც შარშან იყო.

ეს კია, რომ წელს, იმედია, ოპოზიცია უფრო მედგარი იქნება, ვიდრე შარშან. მართალია, ლიბერალ-იმპერიალისტები თითქმის ყველაფერში, მეტადრე საგარეო საქმეებში, მთავრობას ემხრობიან, სამაგიეროდ დანარჩენი ოპოზიცია ეხლა უფრო მეტს ფხასა და მხნეობას იჩენს და უფრო მეტის გაცხარებით ებრძვის მთავრობას, ვიდრე შარშან ებრძოდა. მთავრობამაც შინ, თუ გარედ ბევრი დანაშაული და ცოდო ჩაიდინა და ამით წინად დუნე და უმი ოპოზიცია გააძლიერა, გაამხნევა. მთავრობის მრავალმა შეცდომამ ოპოზიციას ფეხი მოუმაგრა, გული გაუკეთა და ბრძოლის ხალისი გაუორკეცა. ირლანდიელებსა, რადიკალებს და მუშების დეპუტატებს რომ თავი დავანებოთ, თითონ ძველი ლიბერალებიც, თითონ მოხუცებული წინამძღოლი კემპბელ-ბანერმანიც კი ეხლა სულ სხვა კილოზე ლაპარაკობს, უფრო ლონივრად სცემს მთავრობას; მართალია, თავის წმინდა ლიბერალურ პროგრამას არა ჰგლალატობს, მაგრამ მაინც მთავრობას უფრო ცხარედ, გულიანად და თამამად ებრძვის. თითქო მოხუცებულმა წინამძღოლმა თავისი ახალგაზრდობა მოიგონაო. მაინც ოპოზიციის წინამძღოლის გაცოცხლება სულ ახალგაზრდა რადიკალი დეპუტატების და ნამეტნავად ნიჭიერი უელსელი დეპუტატის ლოიდ ჯორჯის ბრალია. ამ გაზაფხულზე ჯორჯმა სამხრეთ-აფრიკის წყეულ თავშესაფარ ბანაკებზე ლაპარაკი ჩამოაგდო პალატაში და უჩვენა წინამძღოლს, თუ როგორ უნდა იბრძოდეს ნამდვილი ოპოზიციონერი. ახალგაზრდა ნიჭიერმა დეპუტატმა თითქო უთხრა წინამძღოლს:

დაჰკარ, რაღა, რასა ჰშიშობ,
თუ გული გაქვს მამაცისა!

ოპოზიციის წინამძღოლსაც თითქო შერცხვა თავისი ახალგაზრდა ამხანაგებისა და მართლაც მას აქეთ, სადაც კი კრებას დაესწრო, უფრო თამამად, გაბედვით დაუწყო ცემა მთავრობას. ვნახოთ პარლამენტში როგორ მოიქცევიან ბანერმანი და სხვა ძველი ლიბერალები. რადიკალები, მუშების დეპუტატები კი რომ მედგარ იერიშს მიიტანენ მთავრობაზე, ამაში დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ. ირლანდიაშიაც ბევრი ნედლი შეშა დასწვა ეხლანდელმა მთავრობამ და ირლანდიის გლეხი ხალხის მოსარჩლე დეპუტატებიც ეხლა ყველაფრის ანგარიშს ერთბაშად მოითხოვენ. თუნდ ლიბერალ იმპერიალისტებმა და ძველმა ლიბერალებმაც მხარი არ დაუჭირონ, ინგლისის და ირლანდიის ახალი დემოკრატიაც მოახერხებენ, რომ მთავრობას სიცოცხლე ჩაუმწარონ.

✡ ზოგიერთმა გაზეთმა გამოაცხადა, ვითომ ჩემბერლენს მადლობას გადაუხდის თავის ბირმინჰამელ ამომრჩევლებისათვის: კარგად მოქცეულხართ, რომ რადიკალი დეპუტატი ლოიდ ჯორჯი არ გილაპარაკებიათ და გამართული კრება სულაც ჩაგიშლიათო. ეხლა სხვა გაზეთები კიდევ სულ სხვარა სწერენ. კოლონიების მინისტრმა გამოაცხადა: ბირმინჰამელი პატრიოტების ხრო «მეტად სამარცხვინოდ მოქცეულან, ეს ამბები მეტად სამწუხარო ამბავიაო».

ჩემბერლენს იქნება ეთქვას კიდეც ეს სიტყვები; ინგლისში ცხოვრობს, ოსმალეთში ხომ არა, მაგრამ გულში კი რომ სულ სხვას იფიქრებდა, ესეც ნამდვილზე ნამდვილია. ბირმინჰამელი პატრიოტებისთანა ხალხი რომ არ იყოს ინგლისში, ეხლანდელი სამწუხარო ამბებიც აღარ მოხდებოდა. ჩემბერლენისა და საზოგადოთ ყველა იმპერიალისტების ძალაც ამ ნაირ ხალხზეა დაფუძნებული. ეხლანდელი მთავრობაც ხალხის გულში ყოველნაირად აძლიერებს, აცურებს შოვინისტურ გრძნობებს, ეშინიან, რომ ეს გრძნობა არ განელდეს და მის ბატონობას ბოლო არ მოეღოს. ხალხიც სდევს მთავრობას და იმისთანა სამარცხვინო მანიფესტაციებს ჰმართავს, როგორიც ბირმინჰამში მოხდა.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲐᲤᲠᲘᲙᲐ. «ვინა თქო, ენამც გაუხმა!» ბურებს ბრძოლა მობეზრდათ და შერიგებას აპირებენ ინგლისთანაო. იმ დღეს მეც მოგახსენეთ—ინგლისური გაზეთებიდან ცნობა, ვითომ ბურების ერთი ნაწილი და თითონ ბოტა და დელარეიც შერიგებას ნდომობენო. ოღონდ ეგ არის დევეტი და პრეზიდენტი შტეინი უარზე არიანო. ინგლისელ იმპერიალისტებს ამ გაზაფხულზედაც დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ბოტა ზავის მომხრეაო. მაგრამ ბოტამ მაინც გაატრუა ეს იმედი და მას შემდეგ ასჯერ დაუმტკიცათ, რომ შერიგება ფიქრადაც არ მოსდის. ეხლა კიდევ დელარეი დაუმა[illegible]. განა დელარეი კი სხვებზე ნაკლებ იბრძოდა, თუ სხვაზე ნაკლებ გული დასწყვიტა ინგლისელ კაპიტალისტებს. მაგრამ ეს კიდევ რა არის, ბევრი ამაზე უარესი ტყუილიც გაავრცელეს ინგლისელმა ჯინგოისტებმა. იმ დღესაც დასწერეს: ბოტა ფეხში დაეჭრათ, დაეტყვევებინათ, მხოლოდ მერე ჯაგებში შემძვრალიყო და ისე გაჰპაროდათ ინგლისელებსაო. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ თითონ კიტჩენერი იწერებოდა: ბოტამ ერთი ჩვენი რაზმი დაამარცხაო, ანუ უფრო გასაგებათ რომ ვსთქვათ: ბოტამ ჩვენი რაზმი სულ ჯაგებში შეაძვრინაო—დევეტზე კიდევ რაები არ დაწერეს, მაგრამ დევეტი დღესაც სისხლს უშრობს ინგლისის ჯარს.

ინგლისური გაზეთების პასუხად ბურებს გამოუცხადებიათ: თუ დამოუკიდებლობას არ მოგვისპობენ, რატომ არ შევრიგდებით ინგლისს, მაგრამ სხვა პირობით კი არას დროს ავიღებთ ბრძოლაზე ხელსაო. სულ გავწყდებით და თავისუფლებას კი არ დავკარგავთო.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

✦ მომავალ წლის გაზაფხულიდან, როგორც გადმოგვცეს, განსვენებული კ. ზუბალაშვილების მემკვიდრენი ხელს მიჰყოფენ სახალხო სახლის შენებას თავიანთ მამის სახელზედ. ადგილი შეძენილია კიროჩნი და ნაბერეჟნი ქუჩების კუთხეში. შენობა უნდა აიგოს მოწონებულს გეგმაზედ, რომელიც უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს მომავალის რვა თებერვლისა. ჩვენ წინადაც გვქონდა ნათქვამი, რომ საუკეთესო გეგმის წარმომადგენლებისათვის დანიშნულია ორი ჯილდო: პირველი 500, ხოლო მეორე 300 მან.

✦ ჩვენ ამ დღეებში უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის კომისარად ნამყოფმა თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა ითხოვა გამოფენის გამგე კომიტეტის ყველა 25 წევრის ნაყოფიერ შრომისათვის დასაჯილდოებლად წარდგენა. გუშინ თავ. ანდრონიკაშვილმა წარუდგინა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სია იმ პირთა, რომელთაც განსაკუთრებული სამსახური მიუძღვისთ კავკასიის გამოფენის გამართვის საქმეში. თავ. ანდრონიკაშვილი შუამდგომლობს, სხვათა შორის, დაჯილდოვებულ იქმნენ კომისარის ამხანაგები ა. ს. ფირალოვი, ტ. ა. ენფიანჯიანცი, არქიტექტორი ა. პ. შიმკევიჩი, კომისარიატისა, საორგანიზაციო და გამგე კომიტეტების მდივანი ლ. ყიფიანი, ბუხჰალტერი თავ. ი. გ. ანდრონიკა-

---

თალი არ არის. სინამდვილის ნიადაგს სრულიად მოწყვეტილი ფანტასტიური სურათი მხოლოდ ადამიანის წარმოდგენილობითს ნიჭს აძლევს საზრდოს და გრძნობას კი ვერავითარს ვერა ჰბადავს, ვერც წმინდას და ვერც ჩვეულებრივს, ემპირიულს. ესტეტიური სიამოვნება მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც ფანტაზიის მიერ შექმნილი სურათი რომელიმე ჩვეულს გრძნობას სურვილის, მისწრაფების მომენტებს შეაკვეცს ე. ი. გააწმინდავებს მას და ისეთს მდგომარეობაში ჩააყენებს ადამიანს, რომ ის გრძნობდეს და სურვილი კი არაფრისა არა ჰქონდეს. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ესტეტიური გრძნობა ყველა სხვა გრძნობაზე უფრო ხანგრძლივია და თითქოს დაუსრულებელიც. ჩვეულებრივს გრძნობას მუდამ უთუოდ თან მისწრაფება ან სურვილი დასდევს, და ამიტომ იმისი ერთს წერტილზე შეჩერება დიდის ხნით, იმის უმოძრაობა, შეუძლებელია—ის ან უნდა დაკმაყოფილდეს და შემდეგ მოისპოს და ან უნდა იზარდოს, ვიდრე სხვა გრძნობად არ გადაიქცევა და იმას არ დაუთმობს ადგილს. ესტესტიური გრძნობა კი უსურვილო, მყუდრო გრძნობაა და ამიტომ ის ხანგრძლივია და იქნება მუდმივიც იყოს. ჩვეულებრივის გრძნობის გასაესტეტიურებლად, გასაწმენდათ, ჩვენის აზრით, ფანტაზია მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს. მაგრამ თვით ფანტაზია ვერავითარს გრძნობას ვერ შეჰქმნის, გრძნობა უიმისოდ უნდა არსებობდეს. ეხლა აშკარად გამოირკვა, რომ ესტეტიურის გრძნობის გასაჩენად ისეთი ფანტასტიური სურათია საჭირო, რომელიც ადამიანის გულში ჩვეულს, ემპირიულს ე. ი. სურვილებიანს გრძნობას დაჰბადავდა, სინამდვილე რომ ყოფილიყო და არა ფანტაზია. ამას წინად ვთქვით, შემცდარია ის აზრი, ვითომც ესტეტიური გრძნობა მით უფრო ძლიერი უნდა იყოს, რაც მეტი ფანტასტიური ელემენტებია ხელოვნების ნაწარმოებშიო, და ეხლა მკითხველისათვის გამოირკვა, რატომ არის ეს აზრი შემცდარი. აქ შეგვიძლიან შევჩერდეთ და რამდენიმე დასკვნა გამოვიყვანოთ სიტყვა-კაზმულის მწერლობისათვის ზემოდ ნათქვამიდან.

—

სიტყვა-კაზმულის მწერლობის ისტორია გვიჩვენებს, რომ ის თითქოს ნაზის გაუბედავის არშიყისავით ეტრფის სინამდვილეს, მუდამ იმის გარშემო ტრიალებს, მუდამ იმას ევლება თავს, ხან ოდნავ შორდება და ხან ოდნავ უახლოვდება, მაგრამ ეკრძალება, ვერ ჰბედავს და გულში ვერ ჩაუკრავს. ჩვენის შეხედულებით ეს აუცილებელი, ბუნებრივი დამოკიდებულებაა ხელოვნებისა და სინამდვილის შორის. სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ რომ სრულებით შესწყვიტოს კავშირი სინამდვილესთან, ფუჭს, უაზრო, გიჟურს ფანტაზიად გარდაიქცევა, და სინამდვილესთან რომ შეერთდეს—სრულიად დაჰკარგავს მშვენიერების ელფერს და ხელოვნების ხასიათს. სიტყვა-კაზმული მწერლობა მუდამ ნორჩს პეპელასავით უნდა დათრთოდეს—არც სინამდვილის მანქანებრივ სარკედ უნდა გადაიქცეს და არც უაზრო ფერადების კალეიდოსკოპად.

სიტყვა-კაზმული მწერლობის ერთად-ერთი საგანი ადამიანური გრძნობაა და იმისი უზენაესი მისწრაფება ისაა, რომ ამ გრძნობას ჯერ სურვილის დაუწყნარებელი ფრთა მოაკვეცოს და შემდეგ ისე ჩაუდგას მკითხველს გულში. მკითხველს ბელეტრისტი ამ საშუალებით შეძლებას აძლევს ობიექტიურად იგრძნოს, ობიექტურად. ჩააკვირდეს და შეისწავლოს თავისი გულის ვითარება. ნიჭიერის მწერლის კალმის წვერი ხელოვნურად შექმნილის სურათების წყალობით პირდაპირ მკითხველის გულის ფიცარზე დასრიალებს და ასოების მაგიერ კვალად გრძნობას სტოვებს; კალამი აქ საუცხოვო თილისმაა, რომლითაც მწერალი იმ გრძნობის ამტკიცებს მკითხველის გულში, რომელსაც თითონ მოინდომებს. აი სწორედ აქ ჩნდება საკითხი სარგებლობის შესახებ, და სწორედ აქ უნდა მოსთხოვოს კრიტიკამ მწერალს, რომ ის ცხოვრების ჭეშმარიტს ინტერესებს ემსახურებოდეს და არა ყალბს... აშკარაა, რეალიზმის მოძღვრების მიმდევარნი ამაოდ და შეცდომით თხოულობენ ხელოვნურის ნაწარმოების პირდაპირს დაახლოვებას სინამდვილესთან, იმათი მისწრაფება თავს სულ სხვა ადგილას უნდა იჩენდეს.

ადამიანის გრძნობა ყველა ერთის ხასიათის სურვილით და მისწრაფებით არ არის შეზავებული; ზოგს მძლავრი სურვილი დასდევს თან, ზოგს სუსტი, ზოგს მუდმივი და მშვიდი, ზოგს დროებითი და აფრთოვანებული და სხვ. ამ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის, რადგანაც ყველა მათგანი თავისებურის, განსხვავებულის მეთოდით უნდა გაცალკევდეს სურვილს. რამდენადაც გრძნობას მეტის სიძლიერის სურვილი დაჰყვება თან, იმდენად ნაკლები ფანტასტიური ელემენტებია საჭირო იმის გასაწმინდავებლად, გასაესტეტიურებლად და, პირიქით, რამდენადაც უფრო მშვიდი და წყნარი სურვილიანი გრძნობაა, იმდენად მეტი ფანტაზიაა საჭირო. ხშირად გრძნობა ისეთის ოდნავ შესამჩნევის სურვილით არის შეზავებული, რომ ამ გრძნობიდან მწერალს ადვილად შეუძლიან პირდაპირს განყენებით ცნებაზე გადავიდეს, მაგ. სწავლის წყურვილიდამ მეცნიერებაზე. ამ ნაირად შესაძლოდ ჰხდება სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ თავის საგნად ხანდახან განყენებითი ცნებებიც გაჰხადოს.

ამ ვრცელის წინასიტყვაობის შემდეგ გადავიდეთ ჩვენის წერილის პირდაპირს მიზანზე.

—

ბ. შ. არაგვისპირელმა თავისი მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზე პატარა და მოხდენილის ეტიუდების წერით დაიწყო. მომეტებულს ნაწილს იმ ეტიუდთა შინაარსისა ჩვენის ბედ-შავის გლეხკაცის ცხოვრება შეადგენს. პირველი ცდა ბ. არაგვისპირელისა ძალიან საიმედო მომავლის მომასწავებელი იყო და, ეჭვს გარეშეა, თავის მაშინდელს რეალისტურს მიმართულებას რომ მიჰყოლოდა და სულ ათიოდე წლის განმავლობაში რამდენჯერმე ფერი არ ეცვალა, ჩვენი ნიჭიერ ბელლეტრისტი აქამდე რამე ძვირფასს საჩუქარს უძღვნიდა ჩვენს მწერლობას. არაგვისპირელმა დიდს ხანს არ დაუდო გული რეალიზმს და აი რამდენიმე წელიწადია, რაც თანდათან უფრო და უფრო შორს გაურბის მას. ერთს ჩვენს წერილში აღვნიშნეთ გაკვრით, რომ არაგვისპირელს უმთავრესად აზრის გამოხატვა აინტერესებს და მაგრე რიგად სხვას არაფერს ყურს არ უგდებსო. „მოამბის“ უკანასკნელს მე-XI № ში მოთავსებული ეტიუდი-ფეერია „ჩემი თავ-გადასავალი“ სულ სხვა, სულ ახალს კილოზეა დაწერილი. აქამდე ჩვენის მწერლის მოთხრობები, რაც უნდა იყოს, მაინც სინამდვილის სურათებს იძლეოდა, „ჩემი თავ გადასავალი“ კი ისეა დაწერილი, თითქოს ავტორმა არც კი იცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი, არმენაკ ავ. ტიგრანოვი და ევ. შიშკოსა, ამიერ კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურის უფროსი, ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგე ბ-ნი ჯაფარიძე, კონტროლერები თაყაიშვილი და მირზოევი, პოლიციის მეათე ნაწილის ბოქაული და მისი თანაშემწე, ფერშლები მაჭავარიანი და [illegible]არშინი; ბ-ნნი ფიცხელაური, ივ. ხატიშვილი, კ. კორიაკინი, ზომბერი, ბადალოვი, ინჟენერი რაგოლერი, ქალაქის გამგეობის ტეხნიკოსი ქურდიანი, ლოტბარები: კერგარეთელი და კარამურზა, მედუდუკე ადიკო ინტაგაშვილი და აბდულ-ბალი და სხვანი.

◆ გუშინ, 22 დეკემბერს ქალაქის საბჭოს სხდომა, ხმოსანთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა. განა რომ ახალი ამბავია, არა, მკითხველო!

◆ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს **შემდეგი სხდომა**, სხვა და სხვა მიმდინარე საქმეების განსახილველად, ექნება 26 დეკემბერს.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საბჭომ 21 დეკემბრის სხდომაზე განიხილა რამდენიმე **საჩივარი** კავკასიის გამოფენის საექსპერტო კომისიაზე; ექსპონატებისაგან ზოგი ჩიოდა, რატომ ჯილდო არ დაგვინიშნეთო და ზოგი—ჩვენი ექსპონატები სრულიად არ განუხილავთო. საბჭომ განიხილა ყველა ეს განცხადებები და გადასწყვიტა უყურადღებოდ დასტოვოს ისინი, რადგანაც საკითხი ჯილდოების დანიშვნის შესახებ მის კომპეტენციას არ შეადგენს.

◆ ქალაქის გამგეობაში 12-დე განცხადება შეიტანეს სხვა-და-სხვა პირთა და საზოგადოებათ, რომ იმათ სურთ მონაწილეობა მიიღონ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მომავალს არჩევნებში.

◆ თანახმად ტფილისის კადეტთა კორპუსის მმართველობის შუამდგომლობისა სამხედრო სასწავლებლების უმთავრესს უფროსის წინაშე, ქალაქის დებულების 24 და 30 მუხლის ძალით ნება დაერთო კადეტთა კორპუსის მეორე როტის კომანდირს **პოლკოვნიკ პიკულს**, დაესწროს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ახალს არჩევნებზედ, როგორც კორპუსის წარმომადგენელი.

◆ რადგანაც წელს ამერიკაში **ბამბის მოსავალი** არ იყო კარგი, რუსის ფაბრიკანტებმა მიმართეს კავკასიის ბამბას. თუმცა წელს ბამბის მოსავალი ძალიან კარგი იყო კავკასიაში, მაგრამ წვიმების გამო ადრე მოიკრიფა და, გარდა ამისა, რადგანაც ჩვენში არ იციან ბამბის კარგად გარჩევა, მაინცა და მაინც ვერ არის ჩვენი ბამბა კარგის თვისებისა. მაინც, მოთხოვნილების გამო, ბამბის ფასმა აიწია. ამ ხანად ფუთი ბამბა ღირს 9—10 მანეთი.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ჩვენი მხრის ყველა კუთხეში ხმელი, უთოვლო ზამთარია და ამიტომ მომავალი წლის **მოსავლის შიში არის**, თუ რომ დრო არ შეიცვალა და თოვლი არ მოვიდა.

◆ ტფილისის ქალაქის თვით მართველობის მომავალ **1902** წლის გასავლის **ხარჯთ-აღრიცხვის შედგენამ ძალიან დააგვიანა** იმის გამო, რომ გამგეობის მოხელეებმა დროზე ცნობები არ წარადგინეს გამგეობაში. ამიტომ 21 დეკემბრის სხდომაზე გამგეობამ გარდასწყვიტა წინადადება მიეცეს ყველა აღნიშნულ პირთ, არა უგვიანეს 29 დეკემბრისა საჭირო ცნობები წარუდგინონ გამგეობას.

◆ რადგანაც ხელშეკრულობით ქალაქს არა აქვს ნება, რაიმე შენობა ააგოს ალექსანდრეს ბაღში, ამისთვის ქალაქის თავის მოადგილემ მიმართა შუამდგომლობით ბ. ტფილისის გუბერნატორს, რომ ნება დართონ დაადგან **მეორე სართული** ქვეითა ბაღში იმ შენობას, სადაც ეხლა წიგნებსა ჰყიდიან, რომ ამ სართულში მოათავსონ **პუშკინის სახელობაზე** ქალაქის უფასო სამკითხველო. როგორც კი ამაზე მიიღებენ მთავრობის თანხმობას, ბიბლიოთეკის გახსნის კითხვაც მალე გადაწყდება, რადგანაც ხარჯთ-აღრიცხვა და პროექტი შენობისა დიდი ხანია მზად არის და აგრეთვე ფულიც გადადებულია.

◆ რადგანაც ქალაქის **პავილიონი გამოფენაზე არავინ არ იყიდა**, და ყველა შენობების აღების დროც მიდის, ამისთვის ქალაქის გამგეობამ მიმართა თხოვნით გამოფენის კომისარიატს, რომ აღრიცხონ და პავილიონი დასტოვონ გამოფენის ადგილზე, ვიდრე ქალაქი მონახავს იმის გამოტანისათვის სახსარს.

◆ სადგურ ბეიუკ-კიასიკიდან იტყობინებიან, რომ ამ დღეებში რკინის გზის მეშვიდე ნაწილის უფროსს, ინჟინერს ვილკუტაისოვს **უბედურება** დაემართაო. 18 დეკემბერს ბ. ვილკუტაისოვი საქონლის მატარებლით №-220 თურმე მოდიოდა, ვაგონის დასაჯდომისაგან გადმოვარდა და მოიტეხა მარცხენა ლავიწი, დაიშავა მხარი, მუხლი, გვერდი და თავპირი.

◆ დ. ბორჯომში ტფ. ქალაქის გამგეობას აქვს **საკუთარი სახლი** ტფილისის მოქალაქის აბესალომოვის ანდერძით დატოვებული. 21 დეკემბერს, ქალაქის სხდომაზე აღიძრა საკითხი: რადგანაც ამ სახლიდან თანდათან კლებულობს შემოსავალი, ამიტომ საჭირო საშუალება იქმნეს მიღებული სახლის შესაკეთებლად, რომ შემოსავალმა იმატოსო. გამგეობამ გარდასწყვიტა შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმა ამ სახლისა და შეაკეთონ ისე, რომ კარგ ფასად გაიყიდოს.

◆ ბორჯომის მინერალურ წყლების დირექციას ნება მოსვლია გამოსცეს დროგამოშვებით **ცნობების წიგნი „ბორჯომი"**. ამ წიგნში მოთავსებული იქნება ყველა საჭირო ცნობები საავარაკო სადგომებისა, სანოვაგისა და სხვ. ფასების შესახებ; ასე რომ მეაგარაკენი ყოველთვის საჭირო ცნობებს მიიღებენ ამ წიგნიდან.

◆ ექიმს სტეფანოვს დაევალა დაათვალიეროს **განდაროვის ორთქლით პურის საცხობი** „ზარია" დ გაითვალისწინოს, ხელსაყრელი იქნება ქალაქისათვის, თუ არა, რომ იმ გვარი პურის საცხობები გაიმართოს ქალაქის სხვა-და-სხვა უბნებში.

◆ გუშინ იარმუკაზე, ამიროვის სახლებს, სადაც ყასბების დუქნებია მოთავსებული, **ცეცხლი გაუჩნდა**. გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელიც დროზე მოვიდა, მაგრამ იმის მოსვლამდე ცეცხლი ჩააქრეს.

◆ პოლიციის განკარგულებით, ბაზარში დაწესებულია კვერცხზედ ფასი 100 კვერცხი 1 ი. და 80 კ., ამაზედ ზევით ვაჭრებს გაყიდვის ნება არა აქვთ. ვაჭრებს ჭკუაში არ დაუჯდათ ეს განკარგულება და მიმართეს საჩივრით საგუბერნიო მმართველობას. ამ დღეებში მოსულა ერთხანად 60,000 ცალი კვერცხი, მაგრამ ვაჭრებს არ გამოაქვთ; თუ 100 კვერცხს 2 მანეთად არ გაგვაყიდვინებენო· ამასთანავე იმუქრებიან, რომ ჩვენ საქონელს ბაქოში გავგზავნითო.

◆ ადგილობრივ ადმინისტრაციის ნებართვით, დღეს ქალაქის ყველა მაღაზიები და სავაჭრო სახლები **ღია იქნება** შობის უქმეების მოახლოვებისა გამო.

◆ მომავალ იანვარში ერთს **არა ჩვეულებრივ იუბილეს** აპირებენ. ამ წელიწადს სრულდება 50 წელი, რაც თამამშევის ქარვასლის ქვემო სართულში მოთავსებულია სახელოსნო ჩვენებურის მკერვალის **სვიმონ გოცირიძისა**. თამამშევის მემკვიდრეთ გადაუწყვეტიათ, პირველ იანვრიდან სამუდამოდ გაანთავისუფლონ გოცირიძის სახელოსნო ქირის ფულისაგან.

◆ სადგურ სამტრედიიდან იტყობინებიან, რომ 21 დეკემბერს, 12 წლის ბავშვი მარიამ ბუგუჩავა, რომელსაც უნდოდა ვაგონებ ქვეშ გამძვრალიყო, რომ მეორე მხარეს გადასულიყო, მოჰყვა ვაგონებქვეშ და გასრესილ იქმნა.

◆ 21 დეკემბერს, პოლიციის მე-5 ნაწილში მოქალაქე მიხეილ ბაბიროვის ძე სააკოვი მიპარვია ალბულაღის მცხოვრებს ევდოკია კაციევისას და მისთვის ჯიბიდან ამოუცლია 1 მან. სააკოვი დაპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

◆ პოლიციის მე-2 ნაწილში, 21 დეკემბერს ცხინვალის ქუჩაზე მცხოვრების არუთინოვის სახლს რაღაც მიზეზისა გამო ცეცხლი გაჩენია. ცეცხლი მალევე ჩაუქვრიათ. ზარალი მცირეა.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ №-ში ქართულ თეატრის რეცენზიაში გამოტოვებულია ზოგიერთი ადგილები, მაგალითად, მე-2 სტრიქონში აკლია წინადადება «ახლანდელ სკოლის სისტემა»; ქვემოთ აკლია სიტყვები «პედაგოგიური წრე» და სხვა.

## ქუთაისის ახალი ამბები

〰 ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს სვიმონ მახარიას, კაცის მოკვლისათვის, ქუთაისის ოლქის სასამართლომ გარდასწყვიტა ყოველივე უფლებათა ჩამორთმევა და მაღნის სამუშევრებში 6 წლის ვადით გაგზავნა. მახარიას ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია ტფილისის სამოსამართლო პალატაში, სადაც განხილულ იქმნა 22 დეკემბერს; ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ბ. ა. თოჩინონი. სამოსამართლო პალატამ მახარია დამნაშავედ იცნო, მაგრამ ვექილის შუამდგომლობისამებრ 6 წლის კატორღა 2 წლით და 8 თვით შეუცვალა.

〰 როგორც გადმოგვცემს, ზუგდიდის მაზრის უფროსი ბ. კეკამოვი გადმოჰყავთ ქ. ქუთაისში საადმინისტრაციო ნაწილში.

〰 ქუთაისში ყოფილ გამოფენა-კონკურსის ექსპონენტებს კავკასიის საბაღოსნო საზოგადოებამ დაუნიშნა შემდეგი ჯილდოები: ალექსანდრა ფარსადანის ასულს ჟანს (სათაიანი), სამიწათმოქმედო სამინისტროს ვერცხლის მედალი, 2) მიხეილ ტერენტის ძე მაჩიტაძეს—«დიპლომი» ვერცხლის მედალზე, 3) ნინო აბაშიძეს—ბრინჯაოს მედალი, 4) არჩიპ. ზურაბის ძე მაჭავარიანს—«დიპლომი» ბრინჯაოს მედალზე. დანარჩენი ექსპონენტები (35) დაჯილდოებულნი იქმნენ ქების ფურცლებით. ამ ჟამად ყველა დიპლომები უკვე მზად არის და ამ მოკლე დროში გაეგზავნება დასარიგებლად გამოფენის მდივნად ყოფილს ბ. მიტარევსკის (საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს).

---

დეს, არსებობს სადმე თუ არა ეგრედ წოდებული სინამდვილე. წინასიტყვაობაშიაც გამოვთქვით და ეხლაც ვიმეორებთ იმ აზრს, რომ ბელლეტრისტს სრული უფლება აქვს თავისუფლად ამოარჩიოს მასალა განძრახულის მოთხრობისათვის, მხოლოდ ის კი მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ფანტასტიურისა და სინამდვილის ელემენტები ისე და იმის მიხედვით უნდა ჩაურთოს ერთიურთს, როგორც ამას მოითხოვს თვით განზრახვა და იმასთან შეფერებული ტეხნიკა. ნამეტანი მეტი ცდა და მეტი სიფთხილე მაშინ არის მწერლისთვის საჭირო, როდესაც ის ფანტასტიურს ელემენტებს უპირატესობას მისცემს და სინამდვილეს კი თავის ნაწარმოებიდან თითქმის სრულიად განსდევნის. დიადისა და სასაცილო საქმის შუა სულ ერთი ნაბიჯის მანძილიაო, ამბობენ ფრანგები. ბელლეტრისტი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რომ იმისი ფანტასტიური მოთხრობა გამოცანად არ გამოვიდეს და მკითხველის ჩასაფიქრებლად დასასრულში ამ სიტყვების მიწერა არ მოუხდეს: „აგანგალა, განგალა, მე ვიცი და შენ არაო". რეალიზმის კილოზე დაწერილი მოთხრობა შესაძლოა უვარგისი გამოდგეს, მაგრამ ის მკითხველს მაინცა და მაინც ავადმყოფი ფანტაზიის ნაყოფად არ ეჩვენება, ფანტასტიური შინაარსის მოთხრობამ კი ძალიან ადვილად შეიძლება ისე დაუბნიოს მკითხველს დავთრები, რომ იმან ერთხელ და სამუდამოდ დასწყევლოს ამ სახის პოეტური ნაწარმოები.

„ჩემი თავ-გადასავალი" პირველი გაბედული ცდა არის ბ. არაგვისპირელისა და არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ბელლეტრისტი მეტის მეტად აჩქარებულა და ჯერ დაუმუშავებელი, დაუსრულებელი ეტიუდი გამოუქვეყნებია. შინაარსი ამ ეტიუდისა ძალიან მარტივია: ერთს მოხუცს დედაკაცს, დედას მრავალის ლამაზის ასულისა, რომლებიც სიკვდილის წინ ესტუმრებიან ხოლმე ადამიანებს და წინ გადაუშლიან მათის წარსულის ცხოვრების მატიანეს, უეცრივ ბედი უმუხთლებს. ქალები დედის დავალებას აღარ ასრულებენ, მოხუცი დედაკაცი მივარდება ერთს ბებერ კაცს და თავის ბასრის კბილებით დაუწყებს ღრღნას, მაგრამ ბებერი თითქმის ტკივილს არ ჰგრძნობს, სიცილს მოაყოლებს და რჩევას მისცემს, კბილის ექიმთან წადი და კბილი გამოაცვლევინე, თორემ ძალა გამოგლევიაო... დედაკაცი მართლა კბილის ექიმს მიჰმართავს, მაგრამ ის კბილებს სულ ერთიანად დააძრობს და კისერში ცემით გამოისტუმრებს სახლიდან, ისეთი სულელი არა ვარ, რომ შენ კბილები გაგიახლოვო. დედაკაცი შემდეგ ვექილებს მიჰმართავს საჩივრით კბილის ექიმზე, მაგრამ იმის საქმეს არც ერთი ვექილი არა კისრულობს... ბოლოს, გაზეთების რედაქციებს სთხოვს, ჩემი ამბავი გამოაქვეყნეთო, მაგრამ ისინიც არაფერს დახმარებას არ უწევენ. რამდენიმე დღის შემდეგ, გაზეთში დასწერენ, რომ ვიღაცა დედაკაცი შემცდარა ჭკუაზე და, რადგანაც ხალხს აწუხებს, კარგი იქნება საგიჟეთში მოათავსონო. ამის შემდეგ ეტიუდის გმირი დედაკაცი იძულებული შეიქნა, თავი დაენებებინა ადამიანთა საზოგადოებისთვის და ტყეში გახიზნულიყო სათრეველად.

ეს არის ეტიუდის შინაარსი. ძნელი გამოსაცნობია—რა უნდა ეთქვა ავტორს ყველა ამით? ეს ეტიუდი, ჩვენის აზრით, ორგვარად შეიძლება აეხსნათ. მოხუცი დედაკაცი შესაძლოა, ავტორის განზრახვით, სიკვდილის სიმბოლო იყოს, რომელსაც მრავალი ხელქვეითი ჰყავს და რომელიც, როგორც სიკვდილი, ადამიანებს ძალიან სძულთ.. იქნება ავტორის აზრით, ბებერი დედაკაცის დევნა იგივე ბრძოლა იყოს კულტურის და მეცნიერებისა სიკვდილთან... მაგრამ აქ კი წყდება ჯაჭვი პარალლელებისა, რადგანაც ამ შედარებით გამარჯვებული ბოლოს კულტურაა და არა სიკვდილი; ეს კი არც პესსიმისტის არაგვისპირელის აზრებს ეთანხმება, არც საქმის ჭეშმარიტს ვითარებას.

ეტიუდის მეორე გვარის განმარტება, შეიძლება ასეთი იყოს: ბებერი დედაკაცი თავისი ლამაზის ქალებით წარმოადგენს სინიდისის სიმბოლოს, რომელიც ჩვენს თანამედროვე კულტურას სძულს და ამიტომ ასახიჩრებს, კბილებს აძრობს, და შემდეგ სოფლის გარეთ ისტუმრებს იმას ტყისკენ... მაგრამ ეს განმარტებაც საეჭვოა. რას ჰნიშნავს ეს კბილების დაძრობა? როგორ უნდა გავიგოთ, რომ კულტურა სინიდისს კბილებს აძრობს?.. ან რისთვის მიჰმართა სინიდისმა კულტურას? იქნება მართლა თანამედროვე კულტუროსანს სინიდისისთვის კარები მაგარის კლიტით ჰქონდეს ჩაკეტილი, მაგრამ თვით სინიდისს რომ აძრობდეს კბილებს, არაფერი მიაგნოსო—ეს ცოტა საეჭვოა და აზრში მოუტანელი. საუცხოვოა აგრეთვე, რატომ ეჩვენება სინიდისის სიმბოლო, ბებრის ლამაზი ასული, ადამიანს მხოლოდ სიკვდილის დღეს. განა მარტო სიკვდილის წინ ჰქენჯნის ადამიანის გულს სინიდისის მხილება, განა სხვა დროს კი არა ჰშლის სინიდისი ადამიანის წინაშე წარსულის ცხოვრების მატიანეს? ვერ გამიგია აგრეთვე, რატომ მისცა ავტორმა სინიდისის მხილებელ ლამაზ ქალებს მოხუცი, საზარელი დედაკაცი, რომელიც არაგვისპირელის ეტიუდში თითქოს ბოროტების თმა გაწეწილს გამომსახველს ალსა ჰგავს?.. ერთის სიტყვით, ეს ახსნაც საეჭვოა, თუმცა კი პირველზე უფრო ჭკვაზე ახლო.

მკითხველი დაინახავს ჩვენის სიტყვებიდან, რომ ეს ეტიუდი არაგვისპირელს რიგიანად არ შეუმუშავებია, მაგრამ ჩვენ უმთავრესს ყურადღებას იმას ვაქცევთ, თუ რამდენად საჭირო იყო ასეთი ფანტასტიური სურათი ამ შემთხვევაში.

თუ ეტიუდის „გმირი" ბებერი დედაკაცი სინიდისის სიმბოლოა, ძალიან შემცდარა ბ. არაგვისპირელი, რომ სინიდისის მხილების გამოსახატავად ფანტაზიისათვის მიუმართავს. სინიდისის ქენჯნა იმდენად მწვავეა და ძლიერი, იმას ისეთი მოუსვენრობის ხასიათი აქვს, იმას ისეთი უცნაური სურვილი დასდევს თან უკვე ჩადენილის სანანელის საქმის ცხოვრების ფურცლებიდან ამოფხვრისა, რომ იმის გამოსახატავად არავითარი ფანტასტიური სურათები არ არიან საჭირო, პირდაპირი, გულმართალი გადმოცემა სინამდვილიდან ამოღებულის ოდნავ ფანტაზიით შემუშავებულის მასალისა—ბევრად უფრო ადვილად გააცალკევებდა მკითხველის თვალში სინანულის გრძნობას უკვე ჩადენილის საქმის მოსპობის სურვილისაგან და მით უფრო ადვილად მიაღწევდა ავტორი ესტეტიურს მშვენიერებას. თუ მართალი ჩვენი პირველი ახსნაა, მაშინ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ფანტასტიური მასალა ამ შემთხვევაში ძალიან საჭიროა, რადგანაც მეცნიერების ბრძოლა სიკვდილთან და სიკვდილის თავზარ დამცემი გავლენა ადამიანზე ფანტასტიურის სურათებით უფრო უკეთესად გამოიხატება, რადგანაც თვითონ სიკვდილი იმდენად გრძნობა არ არის, რამდენადაც წარმოდგენა, ცნება და ამ ცნებას ჩვეულებრივ არც რაიმე აღფრთოვანებული სურვილი დასდევს თან. საუბედუროდ, ჩვენის ფიქრით, ეს ახსნა ამ ეტიუდისა თითქმის ძალდატანებითი ახსნაა.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ბ. არაგვისპირელმა პირველად დაიწყო ამ ეტიუდით სიმბოლიურის მიმართულების კილოზე წერა, და ვუსურვოთ ახალგაზრდა მწერალს, რომ იმისი სიმბოლიზმი მუდამ ზომიერი იყოს, არასოდეს აუცილებელს საჭიროების წრეს არ გადასცილდებოდეს, სადაც კი მოსახერხებელია, ყველგან ფანტასტიური სიმბოლიზმი ბუნებრივის სიმბოლიზმით შესცვალოს, რომელსაც მუდამ უფრო მეტი სიფხიზლის ნიშანწყალი ეტყობა და მუდამ მეტი შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლიან მკითხველზე.

ფანგო.

## ქუთაისის თავად-აზნაურობის კრება

21 დეკემბერს, ახალი მარშლის ს. ნ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით შესდგა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრება, რომელზედაც წაკითხულ იქმნა უქვეშევრდომილესი ადრესი.

კრებამ ადრესის შინაარსი მოიწონა; შემდეგ ერთ ხმად აირჩია დეპუტატებად: გუბერნიის მარშლად ყოფილი სიმონ წერეთელი, სამსონ თოფურია—ადგილობრივი ცნობილი ექიმი, გენერალი ალმასხან მიქელაძე. ამათ გარდა არჩეულ იქმნენ: ვლადიმერ მიქელაძე—(37—4); 2) კორპუსის ოფიცერი ქორქაშვილი—(33—8); 3) სოსიკო ერისთავი—(28—13; ნიკო ვარდენისძე, წერეთელი, ხარჯის ამკრები ინსპექტორი—(29—12).

საყურადღებო ამ სხდომაზე ორი კითხვა იყო: ერთი სწავლა განათლების საჭიროების დასაკმაყოფილებელ თანხის შესახებ. პროექტი იყო წარმოდგენილი ნიკო თავდგირიძისაგან, რომელიც ურჩევდა თავად-აზნაურობას პანსიონის დაარსებას სააზნაურო სკოლასთან, სადაც 150 ყმაწვილი გაიზდება საზოგადოების სრულ და სანახევრო ხარჯზედ; ამ საჭიროებისათვის ამ წინადადებით უნდა გადიდდეს 10 ათასი მანეთი; მეორე ათი ათასი მანათი უნდა განაწილდეს უნივერსიტეტში და გიმნაზიებში სტიპენდიებად შემდეგის წესით: 1) 20 შემწეობა 110 მანეთი თითო მოწაფეს გიმნაზიებში ქუთაისს და ბათუმს; 2) 20 სტიპენდია უნივერსიტეტში 300 მანეთი თითოს, სულ 6 ათასი მანეთი უმაღლეს სასწავლებლებში და 3 ათასი გიმნაზიებში; 3) ათასი მანეთი გადადებულ უნდა იქმნეს სპეციალური საგნების შესასწავლად ორ უმაღლეს სასწავლებელში კურს გათავებულ სტუდენტებისათვის. რადგანაც სწავლა-განათლების საჭიროების საშუალების შესახებ კითხვა არ იყო მოთავსებული ეხლანდელ სხდომის გასარჩევ საგნებში, ამიტომ თავმჯდომარის და აზნაურობის, წინადადებით ეს პროექტი გადაეცა მასალად იმ კომისიას, რომელიც მუშაობს ამ კითხვის გამოსარკვევად. მეორე კითხვა იყო თვით მარშლის წინადადება თავად-აზნაურობისაგან საკუთარი შენობის შეძენის შესახებ: თავმჯდომარემ ურჩია თავად-აზნაურობას შეიძინოს ერთი იმ სახლთაგანი, რომლებიც „პრიკაზის“ ვალში არის დარჩენილი.

განსაკუთრებული მოსაგები პირობებით შეიძლება თავად-აზნაურობამ შეიძინოს სახელმწიფოდან ერთ—ერთი დარჩენილი უძრავი მამული: საჭირო ფული შეიძლება განაწილდეს რამოდენიმე წლით 20—30 წლით, რომლის განმავლობაში შეიძლება თავად-აზნაურობამ წლიურად იხადოს მხოლოდ ის ქირა, რომელიც ეხლა ეხარჯება საჭირო ბინის მოსაპოებლად; ამ ხნის განმავლობაში შეიძლება ვალი გაისტუმროს და საკუთრებადაც დარჩეს ეს ქონება. წინააღმდეგი აღმოჩნდა ამ რჩევისა ვექილი ალ. ქოჩაქიძე, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქონების შეძენის საქმეში წინდახედულად უნდა ვმოქმედებდეთო: შეიძლება უვარგისი შენობა შევიძინოთ და არ გამოგვადგესო. აზნაურობამ, დიდი ბჭობის შემდეგ, დაადგინა აირჩეს კომისია ალექსანდრე ქოჩაქიძისაგან, ნიკო თავდგირიძისაგან და მერაბ ლორთქიფანიძისაგან, რომელთაც დაევალოთ დეპუტატთა საკრებულოს წევრებთან ერთად დახედონ შესაძენი ადგილები, მოიწვიონ გამოცდილი, მცოდნე პირები, გამოიანგარიშონ სარგებლობა და, შეერთებული ბჭობა-რჩევის შემდეგ, თუ მოიწონებენ, შეიძინონ უკვე შემუშავებული პირობებით თავად-აზნაურობისათვის საჭირო ბინა და ადგილი. **დამსწრე.**

---

## ფოთის ქალაქის საბჭო
### 19 დეკემბერი

კრებას თავმჯდომარეობდა ქალაქის თავის მოადგილე ბ-ნი ი. ს. ფანცხავა. პირველად საბჭოს მოხსენდა ელექტრონული სადგურის ქვაბის გახურების შესახებ. ამისათვის თავმჯდომარემ წაუკითხა საბჭოს ინჟინრის მიერ შედგენილი მოხსენება და ხარჯთ-აღრიცხვა, რომელშიაც აღნიშნულია და გამოანგარიშებულია, რომ ქალაქს ელექტრონული სადგურის ქვაბის გახურება შუშით უფრო იაფად დაჯდება, ვიდრე ქვა-ნახშირით; ამასთანავე შუშით გახურება უმჯობესია იმიტომ, რომ ქვაბის ლუდა და სხვა ნაწილები შუშის გახურების დროს ისე მალე არ ფუჭდება, როგორც სხვა დროს. მცირე ოდენი კამათის შემდეგ საბჭო სპეციალისტების აზრს მიემხრო და კრებამ დაადგინა საჯარო ვაჭრობით გაიცეს ელექტრონული სადგურის შუშით გახურების საქმე. სხდომამ განიხილა, თუ რა შედეგი მოჰყვა ქალაქის განათების შესახებ საჯაროთ დანიშნულ ვაჭრობას. ამ საგნის შესახებ გამგეობას ორჯელ ჰქონდა გამართული ვაჭრობა, რადგან პირველ ვაჭრობის გათავების შემდეგ ქუჩების განათებისათვის სხვებმა გამგეობას უფრო ხელსაყრელი ფასი შესძლიეს. გამგეობას ქალაქის გასანათებლად გადადებული ჰქონდა 6000 მან. მეორეთ გამართული ვაჭრობის დროს კი ყველაზე იაფი ფასი ბ. ე. გაბუნიამ შესძლია და საბჭომაც ამ უკანასკნელ მოიჯარადრის სახელზე დაამტკიცა ქუჩების განათება, რომელსაც ვაჭრობის დროს 5097 მანეთში დარჩა ქუჩების განათება ერთის წლის გადით.

საბჭოს მოხსენდა აგრეთვე საჯარო ვაჭრობის საქმე, რომელიც დანიშნული იყო სამოქალაქო სასწავლებლის ორ სართულიან ქვის შენობის ასაგებათ. საჯარო ვაჭრობის დროს სასწავლებლის შენობის აგების საქმე ალ. ზრავედნიკოვს დარჩა 68.000 მანეთში, მაგრამ რადგან გამგეობამ განცხადება მიიღო ცნობილ მოიჯარადრე თ. გ. კეშელავასაგან, რომელიც ზემოხსენებულ ფასს ათას მანეთს აკლებს და 67.000 მანეთათ თანხმდება სასწავლებლის შენობის აგებას, ამისათვის საბჭომ იჯარის დამტკიცება შეაჩერა მანამდის, სანამ ქალაქის მოურავი ბ-ნი ნ. ნიკოლაძე პეტერბურგიდან დაბრუნდებოდეს, რადგან სასწავლებლის შენობის აგების საქმე მეტად რთულ საქმეს წარმოადგენს.

დაბოლოს განხილულ იქმნა ხორცზე ნიხრის განწესების საქმე. ამის შესახებ მეყასბეები ფასის მომატებას თხოულობდნენ. კრებაზე გამოირკვა, რომ ჩვენი მეყასბეები ხორცში მეტ ფასს დებულობენ, შედარებით სხვა მეზობელ ქალაქებში არსებულ ფასთან, ამისათვის საბჭომ დაადგინა არსებული ნიხრი ხორცზე ისევ ისე უცვლელად იქმნას დატოვებული.

**ი. იანთელი**

---

## სასამართლო
(დასასრული*)

პალატამ გადასწყვიტა ეკითხოს მოწმეებს მომჩივანთა შუამდგომლობის თანახმად. საქმის გარემოების აღნიშვნისა და მოწმეების დაფიცების შემდეგ შეუდგნენ მოწმეების ჩვენების ჩამორთმევას, რამაც ნაშუადღევის $2^1/_2$ საათამდე გასტანა. მოწამე ძიევმა აჩვენა შემდეგი: თავ. დიმიტრი ჭავჭავაძეს ჩემს მახსოვრობაში ორჯელ ვემსახურებოდი. ერთხელ ბატარობისას და მეორედ იმის გარდაცვალების წინად 1886 წელს. ჩემი ბატონი პეტერბურგში იყო; იქ წასვლამდე თავ. ჭავჭავაძე ძალიან კარგად და ჯან-საღად იყო, მაგრამ როცა იქიდან დაბრუნდა, ძლივს გიცანი, ისე გამოცვლილიყო. ცალი ხელი უკანკალებდა და წინად მუდამ ხალხში გართული კაცი, ჩაიკეტა სახლში და აღარ გამოდიოდა; ბ-ნმა მე გამაფრთხილა, რომ თუ ვინმემ გკითხოს, უპასუხე, მე აქ არ ვარ, და ამასთანავე სახლის შესავალთან მიკრული ფიცარი მისი სახელის და გვარის ზედ წარწერით და ზარიც ჩამოაღებინა, რომ მასთან არავინ მისულიყო. დილას თითქმის 5—6 საათზე დგებოდა და სადღაც სასეირნოდ მიდიოდა და მობრუნდებოდა სწორედ იმ დროს, როცა ჩვენც ავდგებოდით ხოლმე და სახლის დალაგებას შევუდგებოდით, ამ დროდან ბატონი სულ ჩაკეტილი იყო სახლში. ხან დამიძახებდა რაიმე საქმისთვის და როცა მივიდოდი და გაეჩერდებოდი, მეტყოდა, რა გინდა, აქ რომ გაჩერებულხარ; მიიღებდა რა პასუხს ჩემგან, რომ თითონ მეძახოდა და მიტომ მოვდიოდი, მეტყოდა: ჰო, კარგი წადი და მერე დაგიძახებო. მთელს დღეს რაღაც ქაღალდებს სწერდა და უფრო ციფრებს. ასეთ ნაწერს ქაღალდებს ისევ ისე ხევდა, ასე რომ ყოველს დღეს თითქმის თითო კალათი ნახევი ქაღალდი უნდა გადამეყარა ხოლმე; თავ. ჭავჭავაძე გასულელდა თუ არა,—ამის დამტკიცება არ შემიძლიან, მხოლოდ იმდენი ცვლილება დაეტყო გარდაცვალების წინად, რომ მისი ნაცნობები ვეღარც სახით ვერ ცნობილობდნენ, ანდერძზე ხელი ასე მოაწერია: ერთს დღეს ძალიან შეწუხებული ლოგინად იწვა; მომიხმო და მიბრძანა რაღაც ქაღალდზე ხელი მომეწერა; მე დავემორჩილე და ხელი მოვაწერე მისივე დახმარებით, რის შემდეგაც გამომიცხადა, რომ მე დიდხანს ვეღარ გიცოცხლებ და ეს ჩემი ანდერძიაო. ამის შემდეგ ბატონი კახეთში წავიდა და იქ გარდაიცვალა.

მოწამე კონსტანტინე სანაიამ დიდხანს ილაპარაკა და საზოგადოდ, შეამოწმა რა ზემოდ მოყვანილ მოწმის ჩვენება, თავის მხრით დაუმატა, რომ თავ. ჭავჭავაძე ნამეტნავად გამოცვლილი დაბრუნდა პეტერბურგიდან. ჭავჭავაძესთან მომსვლელი ამ ხანებში არავინ არ მინახავს გარდა თავ. ზაქარია რომანის ძის ჭავჭავაძისა. მუდამ სახლში იყო ჩაკეტილი და თითქოს მოძრაობისა ეშინოდა. ერთხელ, მაგალ., შევნიშნე, რომ თავადი თითის წვერებზე დამდგარი თითქოს რაღაცას ეპარებაო ნელ-ნელა ლოგინიდან მიიპარა ფანჯარასთან, ფარდა ოდნავ ასწია, ისევ მალევე გაუშვა ხელი და უკან-უკან ისევ ისე ცერებზე დაბრუნდა იმავე ადგილზე. ექიმებთაგან არავის არ იკარებდა, მხოლოდ მახსოვს ერთხელ მასთან მოსული ექიმი ბახუტოვი. 1886 წლის ივნისის თვის პირველ რიცხვებში ბატონი თელავში თ. ზაქარია ჭავჭავაძესთან წავიდა და მე თან წამოიყვანა. კახეთში ყოფნის დროს ესეთივე მდგომარეობაში იყო განსვენებული. ანდერძზე ხელის მოწერის დროს თუმცა ჯერ უარი ვსთქვი, რადგანაც ქაღალდის შინაარსი არ ვიცოდი, მაგრამ მან დამარწმუნა უბრალო ქაღალდიაო და როცა მისი დახმარებით ხელი მოვაწერე, მერე გამიმარტა თუ რაში იყო საქმე.

მოწმე თ. ზ. რ. ჭავჭავაძე, 1886 წელს თავ. დიმიტრი ჭავჭავაძე განჯიდან დაბრუნდა (მაშინ კარგად იყო) და სხვათა შორის მითხრა: განჯის გუბერნიაში 500,000 მან. ისეთს ადგილებს ვყიდულობ, რომ 8—10 მილიონად ღირსო. შემდეგ იგი პეტერბურგში წავიდა და იმავე წლის მაისს ტფილისში დაბრუნებისას ვეღარ გიცანი, ისე გამოცვლილიყო. ცალი ხელი უკანკალებდა; ენა ისე დაბლუებული ჰქონდა, რომ ძლივს ლაპარაკობდა, თუმცა ბევრს არა და არც აზრიანად. მაგ., სიტყვებს ანუ წინადადებას თუმცა სწორედ იტყოდა, მაგრამ აზრს აღარ ათავებდა და კაცი ვერ გებულობდა, რის თქმა უნდოდა. მე მის ცხოვრებიდან არ მახსოვს, რომ მას რაიმე საქველ მოქმედო საქმეებში მონაწილეობა მიეღოს. პირიქით იგი მეტი თავმოყვარე-თავ-კერძა კაცი იყო. ყურადღებას არავისთან არა ჰქონია. დამბლა ორჯელ დაეცა განსვენებულს, ერთი რუსეთში და მეორე ევროპაში—ვენაში. მთელი თავისი სიცოცხლე დრო-გამოშვებით სიფილისით ავადმყოფობდა. თელავში განსვენებული მე წამომყვა თან. ჩემს სახლში აგრეთვე ცვლილებები ეტყობოდა, არავის იკარებდა. ერთს დილას ეზოში შევნიშნე იგი მეტად გაფითრებული მოწმეების ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ სხდომა შეწყდა 7 საათამდე. სხდომის განახლების შემდეგ მომჩივნის ვექილებმა ითხოვეს მოწმეების ჩვენებათა ექსპერტებისაგან განხილვა და თვისი მოსაზრების პალატაში წარდგენა, რაც პალატამ შეიწყნარა და დართო ნება ექსპერტების მოწვევისა, როგორც გუშინდელ ნომერში გვქონდა აღნიშნული.

---

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1678

## საღამოს დეპეშა
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

22 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** კონტრ-ადმირალი რიმსკი-კორსაკოვი არხანგელის გუბერნატორად დაინიშნა.

**მოსკოვი.** ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოების სამზრუნველომ ორი დაწესებულება დააარსა—სახალხო სახლი სამკითხველოთი და წიგნთ-საცავით და სასადილო.

**პარიზი.** გაზეთის კორესპონდენტს კრიუგერთან ულაპარაკნია. პრეზიდენტი დაბერებულა, დაღალულობა ეტყობა. ინგლისურად ლაპარაკი არ მოინდომა. თარჯიმანის შემწეობით ბაასის დროს გამოაცხადა, რომ მარტო ღვთის იმედი აქვს და იმის სამართლისა; საფრანგეთს ბედნიერება და აყვავება უსურვა. ბეჭებსა და ხელების ძარღვებს იტკიებს, ამიტომ რამდენიმე თვეა არ წერს.

**ბომბეი.** კრეისერები „ფოკს“ და „პერსეი“ კოვეიტს წავიდნენ. „ფოკსზე“ ექვსი მცირე ზარბაზანი მიაქვთ მაბარუკასათვის. სპარსეთის გუბეში ინგლისელების გემებია—კრეისერი „პომონა“, ნავები «ლაპვინგ“ და „რედბრესტ“ და გემი „სფინკს». აქ ჰფიქრობენ, რომ მდგომარეობა ჯერ საშიშარი არ არის, თუ მაბარუკას რაშიდი არ დაემუქრება.

**რომი.** პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მას დელკასესთან ულაპარაკნია. დელკასსემ მოაგონა იტალიისა და საფრანგეთის ინგლისთან მეგობრობა და ინგლის-საფრანგეთისა და საფრანგეთ-იტალიის შეთანხმება ჩრდილო-აფრიკის შესახებ. დელკასსემ ისიც დასძინა, რომ ესპანიამ კარგად იცის, საფრანგეთი არც ერთ სახელმწიფოს არ მისცემს ნებას მაროკო დაიჭიროს. დელკასსეს უთქვამს ამასთანავე, რადგანაც ძალიან საჭიროა საფრანგეთსა და იტალიაში აწინდელი მდგომარეობა დაცულ იქმნას, ამიტომ ბალკანეთის კუნძულის შესახებ რომ შეთანხმება მოხდებოდეს—კარგი იქნებოდაო; რუსეთის მეტი სხვა ვერავინ შეიგნებს, რა მისწრაფება აქვს იტალიას ბალკანეთის კუნძულზე, განსაკუთრებით ადრიატის ზღვისა და მაკედონიის და სერბიის შუა, და ვერავინ დაუჭერს მხარს რუსეთის მეტიო.

**ლონდონი.** იჰოანესბურგიდამ მოსულის ცნობებით, ბოტამ ბურების წინამძღოლებს ომის გაგრძელება ურჩია იმ მოსაზრებით, რომ იანვარში პარლამენტის სხდომა მოხდება, რომელიც ახალის ხარჯების შესახებ უარს განაცხადებს და ჯარსაც უკან გაიწვევსო.

**პეკინი.** იმპერატორის სახლობა პაოტინფუში მოვიდა; პეკინის მოხელეები დიდის ამბით მიეგებნენ სახლობას. ელჩებს აცნობებს, რომ სახლობა სამშაბათს პეკინში მოვაო.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ივ. ჯაბადარი.

გამოცემანი ძმ. იმედაშვილებისა №№ 19 და 20.

გასასყიდად გამოვიდა „ცხოვრების სარკე“ პიესების კრებული

მეორე წიგნი, სურათებით.

შინაარსი: I—**ურიელ აკოსტა**, ტრაგ. 5 მოქ., გერმანიის მწერლის გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა; **უფროსი ძმა**, დრამა 1 მოქ. ალ. დოდესი, ფრანგულიდან თარგ. ივ მაჭავარიანისა; **ფული და ხარისხი**, კომ. 3 მოქ. აზიანისა; **ოსკან პეტროვიჩი საიქიოს**, ვოდ. 1 მოქ. გ. სუნდუკიანცისა, სომხურიდან თარგ. დ. ტერ-დავითიანცისა; **ბქუისა მჭირს**, ორიგინალური კომ. 1 მოქ. ავქ. ცაგარლისა; **დათვი**, ვოდ. 1 მოქ. ან. ჩეხოვიდან, გად. გრ. ვოლსკის-მიერ; **დედაკაცმა აგვრია**, ახალი სცენები სოფლის ცხოვრებიდან დ. ნახუცრიშვილისა. II—**ლექსები, კუპლეტები** (ვაი-ვუის ხმაზე და სხვ.), **გურული სცენები**. III—**წერილები: თეატრი**, როგორც ზნეობრივი დაწესებულება შილლერისა, ახალი თარგმანი დ. ნახუცრიშვილისა, **დრამატიული ხელოვნების შესახებ**, ვ. აბაშიძისა, **ქართული თეატრი** და მისი მსახიობ-მოღვაწენი, ი. იმედაშვილისა, **სია** სათამაშოთ ნება-დართულ პიესებისა (გაგრძელება), **სურათები** (ეფ მესხისა, ნუცა ჩხეიძისა, აზიანისა, გ. სუნდუკიანცისა, ა. ცაგარლისა, გ. გედევანოვისა, ნ. გალუსტოვისა, ალ. თამაზიშვილისა). წიგნი შეიცავს 421 გვ. ფასი **ერთი** მანეთი. ეს წიგნი დაბეჭდილია ცოტა, მსურველთ ჩქარა შეიძინონ. უმთავრესი საწყობი: ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ი. ზ. იმედაშვილის წიგნის სავაჭროში. აქვე ისყიდება „**ცხოვრების სარკე**“ I წიგნი—ფასი 60 კაპ. ვინც ორივეს იყიდის, პრემიათ მიეცემა 10—20 კაპიკიანი ქართული წიგნი.

**იანიჩარი** ისტორიული დრამა 5 მოქ. დავით ნახუცრიშვილისა. (ეს პიესა დაჯილდოვებულია პრემიით 100 მან. დრამატიული საზოგადოების-მიერ)-დაბეჭდილია ძრიელ ცოტა, შეიცავს 144 გვ. **ფასი 40 კაპ.**

(5—1) ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Георгіевская, книжн. магазинъ І. З. Имедашвили.

ტელეფონი № 741.

საბედნიერ-დღეოდ

ისყიდება ფარმაცევტთა ამხანაგობის მაღაზიებში

(სასახლის ქუჩაზე და მუხრანიანთ ქუჩაზე)

შობის ხის სრული მორთულობა

კოლოფი 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 12, 15, 20 და 25 მანეთიანი. აქვე ისყიდება საგანგებოდ არჩეული **საჩუქრებისთვის** ფოტოგრაფიული აპპარატები და მათი კუთვნილება, სტერასკოპები და მათთვის სურათები.

საპირფარეშო სამკაული და ყველა ფირმების პარფუმერია და კოსმეტიკა.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.

ადრესი ტელეგ.: Тиф. „фармацевтика“.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Декабря 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის.